ხიშვლეფანი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№3 (33) მარტი 2010 წელი

წმ. მეფე ლევანი ოპეფოლელი

ტრადიციის გრძელდება

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სულიერ შვილებს

ქრისტესმიერ საყვარელნო,

ღმერთმა ადამიანი შექმნა უკვდავებისათვის. კოდვით დაკარგით მარადიული სიცოცხლე შეიცვალა მარადიული სიკვდილით, სამოთხისებური ნეტარება — ვნებათა ხეთური ტანჯვით.

სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველმან ქრისტემ ადამიანმან ღმერთმან ჩვენმან თავისი ჯვარცმითა და აღდგომით გამოგვიხსნა ჩვენ სიკვდილის ტყვეობისაგან და აღგვიდგინა ღვთაებრივი სიცოცხლე.

მაშ, მოვედით საყვარელნო ძმანო და დანო, ვსვათ სასუქელი ახალი ცხოვრებისა და აღვივსოთ მადლითა დაულევნელი სიხარულისა. უთლის სიყვარულითა და სასოებით აღვსილი გილოცავთ და გახარებთ იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.

ქრისტე აღდგა!

ქრისტეს აღდგომა!

თქვენთვის მლოცველი

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი

ფრაღიცია ფრაკეღდება

21 თებერვალი აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას დაბადების დღეა. „ამ დღეს სოხუმის ინტელიგენცია დიმიტრი გულიას სახლ-მუზეუმში ვიკრიბებოდით, რათა კიდევ ერთხელ აღგვენიშნა ის დამსახურება, რაც მას მიუძღოდა აფხაზური კულტურის განვითარების საქმეში.“ — იგონებს საქართველოსა და აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სვეტლანა ქეცბა და აგერ უკვე მეხუთე წელია, იგი, ჯერ როგორც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, შემდეგ კი აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარის რანგში ამ ტრადიციის გაგრძელებას თბილისში ხელმძღვანელობს.

დიმიტრი გულიას მრავალმხრივი მოღვაწეობა იმის წინაპირობას ქმნის, რომ ყოველ წელს ეს შეხვედრა თემატურად და ფორმით განსხვავებული და მსმენელისათვის საინტერესო ყოფილიყო. გათვალისწინებული იყო ისიც, რომ ამ ღვაწლმოსილი ხელოვანის შემოქმედება რაც შეიძლება ფართო საზოგადოებას გაეცნო. დევნილ მოსახლეობასთან ერთად ამ საღამოებზე დასწრების პირობებს ქმნიდა ის გარემოებაც, რომ საღამოები სხვადასხვა დარბაზში ეწყობოდა, იქნებოდა ეს რუსთაველის საზოგადოების დარბაზში (2006,2007 წწ.), სადაც საქართველოს მწერლები — ტარიელ ჭანტურია, ჯანსუღ ჩარკვიანი და სხვ. მონაწილეობდნენ, მუსიკალური საზოგადოების დარბაზში (2008 წ.), სადაც ანზორ ერქომაიშვილის მიერ გამოშვებული აფხაზური სიმღერების დისკის პრეზენტაცია მოეწყო და დამსწრეებმა საჩუქრად მიიღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის საკონფერენციო დარბაზში (2009 წ.) და ბოლოს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (2010 წ.). ბუნებრივია, ამ საღამოების არსი იყო იმ სიახლეების გაცნობა, რაც დიმიტრი გულიას შემოქმედების კვლევის სფეროს უკავშირდება. ამით აიხსნება თითქმის ყოველ საღამოში პროფესორ ოთარ ჟორდანიას მონაწილეობა. „დიმიტრი გულია და აფხაზური კულტურა“, „ახალი დოკუმენტური მასალები გულიას ცხოვრებიდან“, „ორი უცნობი ზღაპარი“, „გულიას

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

როლი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საქმეში“ — ეს ის თემებია, რომლთა მეშვეობითაც მან თავისი საკვლევი საგნის ღრმა ცოდნა აუდიტორიას ცოცხალი, საინტერესო სამეტყველო ენით გადასცა. დასამახსოვრებელი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძის გამოსვლა ქვაშვეთის ტაძრის საკონფერენციო დარბაზში თემით „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გულიასეული თარგმანი“.

ამ საღამოებს საქართველოს

მეცნიერებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის მოგონებებიც ახლდა, რომლებშიც გამოსჭვივოდა ღრმა გულისტკივილი შეწყვეტილი მეგობრულ-შემოქმედებითი ურთიერთობების გამო. თითოეული ეს შეხვედრა გაზავებული იყო მუსიკალურ-საკონცერტო ნომრებით. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ძალებით და მისი სამხატვრო ხელმძღვანელის გიორგი რატიანის ხელმძღვანელობით განხორციელებული გულიას „კამაჭიჭის“ ინსცენირება, რომელიც წარმოდგენილი იქნა რუსთაველის საზოგადოების დარბაზში გამართულ საღამოზე.

წლევანდელი საღამო ცენტრმა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურათაშორისი კომუნიკაციების დეპარტამენტთან ერთად გამართა, რომელსაც ამ დეპარტამენტის უფროსი პროფესორი ინდირა ძაგანია წარუძღვა. სიტყვით გამოვიდნენ: უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯონი აფაქიძე, პროფესორები — თეიმურაზ გვანცელაძე, ოთარ ჟორდანია, ზურაბ პაპასკირი, აკადემიკოსი ლორიკ მარშანია, ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბა. გამომსვლელთა საუბარი შეეხებოდა იმდროინდელ ქართულ-აფხაზურ ჯანსაღ შემოქმედებით კავშირებს, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო აფხაზური კულტურის დიდი მოამაგე, აფხაზური დამწერლობის შემქმნელი, აფხაზური ენის პირველი მასწავლებელი, აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი, ადგილობრივი თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების განვითარებისათვის აქტიური მებრძოლი დიმიტრი გულია. დიმიტრი გულიას რჩეული ლექსები, მათ შორის როგორც ადრეული პერიოდის — „ძვირფასი ქმნილება“, „აბრესკილი“, „რუსთაველის ძეგლი სოხუმში“, „გაზაფხულის წვიმა“, „... რომ შემძლებოდა“, ასევე 40-იანი წლების შემდგომ დაწერილი – „სიმღერა გმირთაგმირზე“, „გორში“, „მთები და ზღვა“, „გემი მოვიდა“, „ყველაფერია პოეტის ლექსი“, „ირემი“, „აფხაზეთი,“ აგრეთვე პროზაული ნაწარმოებები: „როგორ მიმაბარეს სასწავლებელში“ და სამი პატარა მოთხრობა წაიკითხეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალგაზრდა წამყვანმა მსახიობებმა ია სუხიტაშვილმა და ლევან ხურციამ. აფხაზურ-ქართული სიმღერები აჟღერდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის (ხელმძღვანელი გურამ ყურაშვილი, დირიჟორი დავით ოკუჟავა) შესრულებით.

საღამოს დასასრულს საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა გენო და რენე კალანდიებმა.

შეხვედრა ქალთა დღის აღსანიშნავად

12 მარტს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა შეხვედრა მოუწყო აფხაზეთის ცნობილ ქალებს, რითაც გააგრძელა 3 და 8 მარტის დღეების საზეიმო ატმოსფერო, დღეებისა, რომლებიც განსაკუთრებით საყვარელია ქალების, მამაკაცებისა და მოზარდებისათვის. მოწვეულთა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მათთვის მოულოდნელი სიურპრიზი იყო. შეხვედრა თავისთავად წარმოადგენდა ქალური ღირსებისა და სრულყოფილების შეხსენებას, მაგრამ მას უფრო მეტი ემოციური დატვირთვა მიეცა იმის გამო, რომ ერთმანეთთან შეხვედრის შესაძლებლობა მიეცათ ქალებს აფხაზეთიდან, რომელთაც მრავალი რამ აქვთ საერთო, წარსულში მეგობრული კავშირი, ამჟამად კი მშობლიური სახლის მოშორებით რთული პრობლემების ატმოსფეროში ჩართულები სისტემატურ შეხვედრებს მოკლებულები რომ

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(დასაწყისი მე-4 გვ.)

არიან. და მაინც, არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ აღვფრთოვანდეთ იმ ქალების ნებისყოფის სიძლიერით, შინაგანი სულიერი იმპულსებითა და შემოქმედებითი ენერგიით, რომლებიც ცენტრის ოფისის საზეიმო შეხვედრაზე იმყოფებოდნენ. ესენი არიან: როზა კუხალაშვილი, ია ჯანაშია, ქეთევან კაჭარავა-ბარამია, შორენა ფილია, ნელი ბარკალაია-ნორაკიძე, სოფიო ლოლოსიდი-ჯობავა, თამილა ცაავა-ქეცბაია, ნუნუ ერქვანია, იულია ხარაიშვილი, ნატრული გეგეჭკორი...

საღამოსათვის მხატვრული ელფერის მისანიჭებლად მოვიწვიეთ ორი ბარიტონი — საყოველთაოდ ცნობილი მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ელდარ გეწაძე და მისი სტუდენტი, დამწყები მომღერალი ალუდა თოდუა, რომელმაც თბილისში სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა ციური აბესაძის კლასით, ხოლო ამჟამად კონსერვატორიაში წარმატებით სწავლობს. ალუდას ჯერ მოკლე, მაგრამ უკვე იმედისმომცემი შემოქმედებითი მიღწევები დამსწრეებს ელდარ გეწაძემ გააცნო: „ახლახან გამართულ ლადო ათანელიშვილის სახელობის ახალგაზრდა შემსრულებელთა პირველ კონკურსზე მან გაიმარჯვა, გინესის წიგნში შეტანის ტოლფასად მიმაჩნია ის, რომ მან 21 წლის ასაკში (მაშინ მესამე კურსზე იყო), ჯერ საოპერო სტუდიის, შემდეგ კი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე იმღერა ჟერმონის პარტია ვერდის ოპერა „რიგოლეტოში“.

ახალგაზრდა მომღერალმა ქალებს მოულოცა თარაშის არიით ოთარ თაქთაქიშვილის ოპერიდან „მთვარის მოტაცება“, დონ-ჟუანის არიით მოცარტის ოპერიდან „დონ-ჟუანი“ და დიმიტრი არაყიშვილის რომანსით „წყნარ ვარსკვლავიან ღამეს“; ალუდა თოდუას თანხლება გაუწია კონცერტმაისტერმა მაია ბედიაშვილმა.

ელდარ გეწაძემ ახალგაზრდა, პერსპექტივაში დიდი მომავლის მქონე მომღერლის წარმოდგენასთან ერთად გაიხსენა თავისი კონსერვატორიაში სწავლის წლები, ის, თუ როგორ მეგობრობდა აფხაზეთიდან სასწავლებლად ჩამოსულ სტუდენტებთან: არდაშინ ავიძბასთან, ვალერი აჩბასთან, ბორის ამიჩბასთან, ტოტო აჯაპუასთან. აღნიშნა ის ფაქტიც, რომ სტუდენტებს შორის ძალიან პოპულარული იყო სიმღერა „გუდისა“, რომლის საუკეთესო შემსრულებლად მივიჩნევდით საქართველოს სახალხო არტისტს ანზორ შომახიას. დიდი სიყვარულითა და მოწიწებით ისაუბრა მან, აგრეთვე, თავის პედაგოგზე — დავით ანდღულაძეზე, რომლის კლასის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია ზურაბ სოტკილავა. ბატონი ელდარის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მათთან შეხვედრის დღე საყოველთაოდ ცნობილი მომღერლის დაბადების დღეს დაემთხვა, და რომ იგი თავის დაბადების დღეს ორიოდე საათის შემდეგ ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში კონცერტით აღნიშნავს, ქალთა საზოგადოება ტაშით მიესალმა.

ელდარ გეწაძემ თავისი საინტერესო საუბარი დაასრულა იტალიური სიმღერის შესრულებით თავის მეუღლესთან, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კონცერტმაისტერ დარეჯან მახაშვილთან ერთად.

საღამოს სასიამოვნო სიურპრიზი იყო, აგრეთვე, ნელი ბარკალაია-ნორაკიძის ნაქარგების რაოდენობრივად მცირე (ათამდე ნამუშევარი), მაგრამ თავისი მხატვრული ხარისხით მდიდარი გამოფენა. სტუმრები განაცვიფრა ავტორის მიერ შესრულებული ნაწარმოებების თემატურმა მრავალფეროვნებამ, ოსტატობამ, დახვეწილმა გემოვნებამ. „ნაქარგებს ხელით ვასრულებ. ძალიან შრომატევადი სამუშაოა. ხუთი წლის მანძილზე მხოლოდ 15 ნაქარგი შევქმენი. მომწონს და გატაცებული ვარ ამ საქმიანობით.“ — გაანდო თავისი გულისნადები იქ შეკრებილთ ქალბატონმა ნელი ბარკალაია-ნორაკიძემ.

საღამოს მომწყობთ მადლობა გადაუხადეს იულია ხარაშვილმა და როზა კუხალაშვილმა, ამასთან აღნიშნეს აფხაზ ქალთა ის წვლილი, რომელიც მათ მიუძღვით დემოკრატიული საქართველოს შენების საქმეში.

საღამოს მომწყობი ცენტრის თანამშრომელთა სახელით ცენტრის თავმჯდომარემ სვეტლანა ქეცბამ ზოგადად ყველა ქალს სიკეთე უსურვა, ხოლო დამსწრეთ პეტრარკასა და პასტერნაკის ლექსებით მიულოცა ქალთა დღე და გამოთქვა იმედი იმ ყველაზე სანუკვარი ოცნების განხორციელებისა, რასაც მათი გულებისათვის ძვირფას მშობლიურ ადგილზე დაბრუნება ჰქვია.

„ჭირველად იყო სიტყვა...“

„.. ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

დიმიტრი გულია

ი ნ ვ ე ს ტ ი

არის ერთი აფსაზური
ვადმოცემა საოცარი:
ჭილოუსთან, სად კოდორი
მიჰქუსს, ზღვისკენ მიიჩქარის,

ბნელ მღვიმეში მიუჯაჭვავთ
აბრესკილი უშიშარი,
მასთან ერთად — ცხენი მისი,
ლაკმის მკვნეტი, წვიეშაკარი.

მიდიოდნენ მველათ, თურმე,
ვამბედავი ვაჟკაცები
და უხმობდნენ იმ კმირთა-კმირს
ვაკაცური ვატაცებით.

დუმდა კლდე და დუმდა მღვიმე,
ვადაჰკვროდათ ლოდებს ხაკსი,
მხოლოდ კლდიდან ხოკკერ ექო
მოისმოდა ეეფის მსკავსი.

მაკრამ ერთხელ სიბნელიდან
ვაიგონეს ხმა ვარკვევით:
„ნუ მეძახით, თავს უშველეთ,
ვაიქეცით ზევით, ქვევით!..

ვინც ჩამოკრჩეთ, ნუ დატოვებთ...
დამივიწეეთ, ხუდარ მეძებთ!
ჩირაღდნები არ ჩააქროთ
უკან სარბენ საშიშ ზეებზე!

მხოლოდ ეს კი მიპასუხეთ, -
მტანჯავს ფიქრი, გული დალხვა, -
აფსახეთში თუ კოლუბა
ვინმეს კიდევ ჰქვია ახლა?!

ბაბილო და ნარეკალა
ისევ ხარობს განა ჯერაც?!“
„ჰო!“... — და მღვიმის ბნელ ხვრელიდან
ვამოისმა ჯაჭვის ჟღერა.

„მაშ სიკეთეს ჯერ ვერ ჰპოვებთ
ჩვენს მმობლიურ აფსახეთში;
მაშ, ბედნიერს ვერვის ნახავთ
თვალუწვდენელ ცისქვეშეთში;

მაშ, ცხოვრება ჯერ კვლავ ისევ
უმიზნო და ფუჭი არის!“..
ხმა შეწყდა და კვლავ დადუმდა
ბნელი მღვიმის ბნელი კარი.

* * *

მველს აფსაზურ ვადმოცემებს
ახსოვთ ჯმირი აბრესკილი,
ბოროტების მტერი იყო
და სიკეთის ღვიძლი ძვილი.

ბაბილოს და ნარეკალას
არ უშვებდა, სწვავდა ზხაში,
მაკრამ მტრობდა მას ოჯახი,
თურმე, ვინმე კოლუბასი.

დადიოდა ნაღვლიანი,
ჭირქუში და მკაცრი მუდამ,
სჩეხდა ეკალს, სჩეხდა ბარდებს,
ხალხს მველოდა, მტერი სძულდა,

ხიდს ვადებდა მდინარეზე, -
ვაივლიდა მშვიდად მეზავრი;
დმერთსაც ქედს არ მოუხრიდა
ხალხის ჯმირი უშიშარი.

მაკრამ მტრებმა, თურმე კლდეზე
მიაჯაჭვეს ჯმირთა-ჯმირი.

წმიდა მეფე დემეტრე თავდადებული (+1289) 12 (25) მარტი

წმიდა მეფე დემეტრე თავდადებული (+1289) წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის (ხს. 1 მაისს და მენელსაცხებლე დედათა კვირიაკეს) შვილთაშვილი იყო.

სიყრმიდანვე განსაცდელებით წვრთნიდა უფალი მომავალ მეფესა და მოწამეს. ჩვილი იყო, როცა მონღოლებმა დედა — უსათნოესი გვანცა დედოფალი, მოუკლეს. გადმოცემით, სიკვდილის წინ დედოფალს პატარა დემეტრე ნოინის ცოლისათვის ჩაუბარებია. წარმართ დედაკაცს უშვილებია უფლისწული და ასეთი მორჩილებისთვის ღვთისაგან სასწაულებრივი კურნება მიუღია — უშვილო ქალს მალე ვაჟი შესძენია.

ათი წლისას მოუკვდა მამა — დავით ულუ. 11-12 წლის ყრმა დემეტრე ქართველმა დიდებულებმა აბაღა ყაენს მიჰგვარეს ურდოში და სთხოვეს, საქართველოს მეფეთ-მეფედ დაემტკიცებინა. ყაენმა შეისმინა ქართველთა თხოვნა, მოეწონა ქართველი უფლისწული, „რამეთუ იყო ქმნულ-კეთილ, და შუენიერი ხილვად“, მეფობის დასტური უბოძა დემეტრეს, სამაგიეროდ, თავისი უფლებების განსამტკიცებლად, „წარმოატანა თანა სადუნი, რომელსაც უბოძა მეფემან დემეტრე ათაბაგობა“. სადუნ მანკაბერდელი ყაენის კარზე დაახლოებული, მისი ნების აღმასრულებელი, თბილისში გაზრდილი გასომხებული ქურთი იყო.

თბილისში ჩამობრძანებული მეფე დაჯდა დავითიან-თამარიან ტახტზე. „აღასრულეს წესი კურთხევისა კათალიკოზმან და ეპისკოპოზთა და ყოველთა მთავართა საქართველოსა ერეთით, კახეთით, სომხეთით, ქართლით და ჯავახეთით და ტაოთ, რომელნი შეკრებულ იყუნეს“. სულიერი სათნოებებით აღსავსე მეფე გონივრულად და გულმოწყალებით განაგებდა ქვეყანას. „აქუნდა ჩვეულება, აღიღოს საფასე და აღდგის ღამე, და მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი და ობოლნი, და თჳსითა ჴელითა მისცემდის, და ყოველთა უწყოდიან მოწყალება მეფისა და ამისთჳს გლახაკნი ღამით ფოლორცთა შინა ვიდოდიან, რათა შეემთხჳვნენ მეფესა“.

თხუთმეტი წლის მეფეს, პოლიტიკური მოსაზრებით, ცოლად შერთეს ტრაპიზონის კეისრის ასული. შედარებით მშვიდი პერიოდი დემეტრე მეფემ საქართველოს კეთილდღეობისთვის გამოიყენა, ააშენა და განაახლა ეკლესია-მონასტრები, გაამაგრა რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ციხე-სიმაგრე. „ააგო პალატსა შინა მონასტერი ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღვთისმშობელისა და შეამკო განგებითა დიდითა და შესწირა სოფელნი და ზვარნი და განუჩინნა მონაზონთა საზრდელი და განაგო კეთილითა“... მეტი არ დასცალდა დემეტრე მეფეს — ყაენმა ეგვიპტეზე სალაშქროდ იხმო. გაჰყვა მეფე ყაენს დიდძალი ლაშქრით, გმირულად იბრძოლა, გააოცა მონღოლნი და ეგვიპტელნი,

(გაგრძელება მე-7 გვ.)

(დასაწყისი მე-6 გვ.)

მაგრამ უკან განახევრებული სპით დაბრუნდა.

1278 წელს დემეტრე გილანის დალაშქვრაში ახლდა მონღოლთა ყაენს და იქაც ყველა გააკვირვა გასაოცარი სიმამაცითა და ვაჟკაცობით. 1280 წელს აბაღა ყაენმა ისევ გაიწვია ქართველები საომრად, ამჯერად ეგვიპტის ახალი სულთნის, მელიქ მანსურის წინააღმდეგ. შემდგომ, ქალაქ ამასიასთან 1281 წელს 30 ოქტომბრის სისხლისმღვრელ ბრძოლაშიც საარაკო გმირობა გამოიჩინა ქართველთა ლაშქარმა, მაგრამ ამ გმირობას უამრავი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა. ამდენი ლაშქრობებისაგან ქვეყანა გაღატაკდა, გავერანდა. დემეტრეც იძლია ბოროტისაგან, წარმართებს აღერია, მოკვდავთ მიენდო. ქვეყნის ინტერესებმა კვლავ მსხვერპლი მოითხოვა მეფისაგან, ამჟამად მონღოლთა ნოინის ასული სოლღარი შეირთო ცოლად.

სხვის ომში სისხლისგან დაცლილი საქართველო ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა: დაიწყო შინაბრძოლები. ქართველები ისე დაეცნენ, რომ ეკლესიებსაც კი სტაცებდნენ მიწას და სოფლებს. იმის მაგიერ, რომ მეგობრის სახით შემოპარული საერთო მტრის განადგურებაზე ეზრუნა, ერი უცებ დაექანა დაღმავალი გზით, უცებ აღმართა ხელი მოყვარეზე, დაივიწყა ღმერთიც და რჯულიც.

ამაოდ ამხელდა სამწყსოს ზნესრული და უსათნოესი კათოლიკოსი ქართლისა ნიკოლოზი, ამაოდ მოძღვრავდა ბოროტის მიერ მიტაცებულ ქრისტიანებს ნიკოლოზ მაწყვერელი — არავინ უგდებდა ყურს მათ სიტყვებს, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამპარტავნებაში, ანგარებაში, უწესობაში.

დემეტრეც ახალი საცდურის წინაშე აღმოჩნდა: გულისთქმას ვეღარ გაუძლო ახალგაზრდა მეფემ — სიყვარული დაეუფლა მის გულს, გადაწყვიტა, ერთხელ მაინც ყოფილიყო ბედნიერი პირად ცხოვრებაში და მოიტაცა ბექა ჯაყელის ასული ნათელა. მისგან დემეტრე მეფეს შეეძინა „უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ჟამისათა, არა ოდენ ჴელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა“ — გიორგი V, ერისგან ბრწყინვალედ წოდებული.

უფალმა სასჯელი მოუვლინა „საზეპურო ერს“ ცოდვათა გამო: ვნების ოთხშაბათსა და ხუთშაბათს მიწა იძრა „სამხილებელად უსჯულოებათა ჩუენთათჳს“. აღდგომის სიხარულად განმზადებულ ერს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. პარასკევს კვლავ იძრა მიწა, შაბათს კი საფუძვლიანად შეარყია და შეაძრწუნა ქვეყანა: ეკლესია-მონასტრები, მთა და ბორცვი დაინგრა, მიწა გაიპო და იქიდან შავმა კუპრისმაგვარმა წყალმა ამოხეთქა, ხეები ამოიძირკვა. აწყურის ეკლესია ჩამოინგრა და უფალმა სასწაულებრივ იხსნა ლიტანიობით შესვენებული ღვთისმშობლის ხატი — გუმბათი ჩამოვარდა და ქუდივით დაემხო ტაძრის შუაში დასვენებულ ხატს. დაინგრა მცხეთა, მთელი სამცხე. ურიცხვი ადამიანი დაიღუპა. გლოვამ და ტირილმა მოიცვა სრულიად საქართველო.

ერის დაცემით შეძრწუნებულმა კათოლიკოსმა ნიკოლოზმა ვერ შეძლო აზვირთებული უზნეობის შეჩერება და მოთოკვა. მრავალჯერ ამხილა და დამოძღვრა მან მეფე, და რაკი ვერ არწმუნა, დაუტევა კათალიკოსობა, „წარვიდა მამულად თჳსად“ და უბრალო ბერული მოღვაწეობით ჩააბარა სული უფალს.

მეფის სამხილებლად ათონის მთიდან ჩამოვიდა ღირსი ბასილი მონაზონი (ხს. 18 აპრილს), ევფემიოს (ექვთიმე III) კათოლიკოსის ბიძა, „საღმრთოთა წესითა აღსავსე და წინასწარცნობისა მადლითა გაბრწყინვებული“, ღვთისმშობლის გამოცხადებით მოიწია წინაშე დემეტრე მეფისა, ამხილა იგი უწესო ქორწინებისათვის და უთხრა: „უკეთუ დაუტევენ უწესონი ქორწინებანი, მე თავს-მდებ გექმნე, რათა კეთილად წარგემართოს მეფობა შენი“. მეფემ და მთავრებმა უგულებელყვეს წმიდა ბერის ნათქვამი. მაშინ ბასილი მონაზომა მომავალი უწინასწარმეტყველა: „ბოროტად და უპატიოდ მოიკლა მძლავრთა მიერ და ოჴერ იქმნე სამეფოსაგან შენისა და შვილნი შენნი მიმოდაიბნინეს და სხვამან დაიპყრას მეფობა შენი და იავარჰყოს სიმდიდრე შენი. და აჰა, ესერა, შენ და მთავართა გეტყჳ და ვესავ ყოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა, რომელი სრულ იქმნეს და აღესრულოს სიტყუა ჩემი, უკუეთუ ეგო უწესოებასა მაგას. მე აჰა ესერა წარვალ“.

გაკვირვებულმა მეფემ პასუხი ვერ გასცა ღვთივგანბრძნობილ ბერს, რადგან წმიდა კაცთა პატივისმცემელი იყო. მეფეს ამხელდა აგრეთვე ლეკთა განმანათლებელი ღირსი პიმენ სალოსი და მისი თანამოსაგრე ანტონი (ხს. 16 მარტს).

მეფე გარეგნულად თითქოს მონღოლებს მორჩილებდა, მონაწილეობას ღებულობდა მათ ლაშქრობებში გარეშე მტერთან, საქართველოში კი კვლავ ეკლესიებს აშენებდა, ღამ-ღამობით გამოდიოდა, საკუთარი ხელით ურიგებდა გლახაკთ მოწყალებას.

აბაღა ყაენის გარდაცვალების შემდეგ ყაენის ტახტისათვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს აბაღას ძმა, აჰმადი და შვილი, არღუნი. დემეტრე მეფე იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო შეთქმულებებში. არღუნის წინააღმდეგ მოწყობილი ერთ-ერთი შეთქმულების მეთაურობა დაბრალდა არღუნის პირველ ვეზირს, ბუღას, რომელიც მზახლად ეკუთვნოდა დემეტრეს. ყაენმა შეიპყრო და თავი მოჰკვეთა ბუღას, იგივე დღე ეწია მის ნათესავ-მომხრეებსაც.

ყაენის კარზე დაიბარეს მეფე დემეტრე. მეფე მიხვდა, რასაც ნიშნავდა ყაენისგან ხმობა, მოიწვია კათოლიკოსი, ეპისკოპოსნი, მონასტრებისა და გარეჯის უდაბნოს მამები, შეკრიბა დარბაზის ერი და განუცხადა: „ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან და უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან და ყოვლად წმიდამან ღმრთისმშობელმან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯუარმან პატიოსანმან, რომელი მოგუენიჭა ჩუენ მეფეთა, დამიცვა და მიმაწია ასაკად სისრულისა და მომმადლა მეფობა, სკიპტრა და პორფირი მეფობისა და თანადგომითა თქუენითა წარვმართე მეფობა და აქამომდე მშჳდობით ჰგიეს სამეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს ყაენი... და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტის ყოფასა ჩემთჳს, თუ არა წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი და აჰა ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს, იხილეთ რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მოოჴრდებიან, კაცნი და ჯუარნი დაიმუსრვიან... რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკუდეს და მე თჳთ მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ, რომე ქუეყანა უვნებლად დარჩეს“.

(გაგრძელება მე-8 გვ.)

(დასაწყისი მე-7 გვ.)

დარბაზი გაკვირვებული მისჩერებოდა სიცოცხლით სავსე, „შესახედავად ტურფა, თმითა და წუერითა მწყაზარ და შუენიერ“ მეფეს, რომელიც ერის გადასარჩენად აშკარა სიკვდილზე მიდიოდა. ყველამ ერთხმად სთხოვა მეფეს, შეეფარებინა თავი მთიულეთისთვის, მაგრამ მეფემ მშვიდად ბრძანა: „მეწნო არიან და არა-სადა აქუნ ნუგეშინისცემა. მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათჳს ჩემისა და არა დავიშლი ურდოს წასვლას“.

„არა არს საქმე, მეფეო, განწირვა სულისა შენისა, რამეთუ მრავალთა მეფეთა მიურიდნია, და დაუცავს თავი თჳსი. აწ თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისათჳს, ჩუენ ყოველნი, ეპისკოპოსნი, ვიტჳრთავთ ცოდვათა შენთა, არამედ წინაშე ღმრთისა ვწამებთ, რათა მოწამეთა თანა შერაცხილ იქმნე, ვითარცა უფალი სახარებასა შინა ბრძანებს: „უფროს ამისსა სიყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თჳსი მოყუასისათჳს. და უკეთუ ერთისა მოყუსისათჳს სულის დადება კეთილ არს, რავდენ ურიცხუთა სულითა ცხოვნება ეგოდენ სარგებელ არს“, — ბრძანა აბრაჰამ კათოლიკოსმა.

ამის გამგონე მეფე სიხარულით განემზადა ურდოში წასასვლელად, თან იახლა აბრაჰამ კათოლიკოსი, მოსე მღვდელი, ძე თვისი, დავით და რჩეული ერისთავები. ყაენის გამოგზავნილი სიუქოლ ნოინი შემოხვდა დემეტრეს, რაც ჰქონდა, ყველაფერი ჩამოართვა, ხელები გაუკრა და ყაენს მიჰგვარა, ვითარცა ერთი უპატიოთაგანი.

ვერანაირი დანაშაული ვერ აღმოუჩინეს ქართველთა ახალგაზრდა მეფეს. დაფიქრდა ყაენი. იცოდა, „უკეთუ ბოროტი უყოს მეფესა, არღარავინ არს ღირსი მეფობისა“, არც დაუსჯელობა ივარგებდა, რადგან დემეტრე „მიმდგომი და მზრახავი იყო ბუღასი“. მაშინ წინ წარდგა ხუტლუ-ბუღა მანკაბერდელი, ძე სადუნისა, მოღოლთა მოენე და დამსმენი და ყაენს უთხრა: „ნუ იურვი მაგას, რამეთუ მე მოვიყვანო შვილი აფხაზთა მეფისა დავითისი (ნარინის), სახელით ვახტანგი, და მას მიუბოძე მეფობა, რომელ ორივე სამეფო ბრძანებასა შენსა მორჩილებდეს“. მოღალატე ამირსპასალარის სიტყვებმა ყველაფერი გადაწყვიტა. დემეტრეს უბრძანეს, აღეწერა ყოველი სიმდიდრე მისი, შემდეგ ხელები შეუკრეს, არგნებით სცემეს და საპყრობილეში ჩააგდეს. ქართველმა დიდებულებმა მოახერხეს დილეგში მყოფი მეფის მონახულება და გაქცევა შესთავაზეს. ქვეშევრდომების ერთგულებით გახარებულმა მეფემ კვლავ მშვიდად მიუგო: „პირველვე უწყოდე სიკუდილი ჩემი, გარნა დავდევ თავი ჩემი და სული ჩემი ერისთჳს ჩემისა. ხოლო აწ თუ წარვიდე, უბრალო ერი მოისრას, რა სარგებელ არს, უკეთუ ყოველი სოფელი შევიძინო და სული წარვიწყმიდო“.

მონღოლებმა დემეტრე დივანხანად წოდებულ სამსჯავრო სახლში წაიყვანეს დასაკითხად და, თუმცა ბრალი ვერ უპოვეს, ყაენმა სიკვდილი გადაუწყვიტა ქართველთა მეფეს.

წმიდა მეფემ სიხარულით მიიღო სიკვდილის განაჩენი, მხიარულად მოიკითხა ნუგეშინისცემად მისული ქართველი დიდებულები, მერე სწორედ მოღალატე ხუტლუ-ბუღას ჩააბარა თავისი პირმშო: „ძე ჩემი მცირე დავით იღუაწე, რათა არა მოიკლას გულისწყრომითა აღსავსისა ყაენისაგან“. ღვთისგან ცხებული მეფის მიერ გამომჟღავნებულმა სიყვარულმა და შენდობამ გული შეუძრა ორგულ ხუტლუ-ბუღას.

სიკვდილის წინ ილოცა მეფემ, მიიღო წმიდა ზიარება და სული უფალს შეავედრა. მოულოდნელად ღვთითმოვლენილმა სასწაულმა შეძრა ყოველი. მზე დაბნელდა და საშინელი სიბნელე ჩამოწვა. ამ სასწაულმა ისე შეაშინა წარმართები, რომ ხელი აიღეს უფლისწულის მოკვლაზე.

დემეტრეს წმიდა გვამს ყაენის ბრძანებით დარაჯები იცავდნენ. კათოლიკოსმა და მოსე მღვდელმა ფარულად გამოიხსნეს ცხედარი და თბილისელი მეთევზეების დახმარებით საქართველოში ჩამოასვენეს.

წმიდა მოწამე დემეტრე დამარხეს მცხეთას, სვეტიცხოველში, „სამარხოსა მამათა მათთასა“.

„წმიდათა ცხოვრებანი“, წიგნი I, თბილისი, 2008 წ.

საეკლესიო კალენდარი

1 აპრილი	— დიდი ხუთშაბათი, საიდუმლო სერობის ხსენება.
2 აპრილი	— დიდი პარასკევი, მაცხოვრის ჯვარზე ვნების ხსენება (ცისკრად 12 ვნების სახარების კითხვა).
3 აპრილი	— დიდი შაბათი.
4 აპრილი (კვ.)	— **ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი.**
5 აპრილი	— ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი, საფლავთა კურთხევა.
6 აპრილი	— ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი. ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული; 6000 დავითგარეჯელ მოწამეთა (1616 წ.) ხსენება.
7 აპრილი	— ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათი. **ხარება.**
10 აპრილი	— ბრწყინვალე შვიდეულის შაბათი. წირვის შემდეგ არტოსის განტეხა.
11 აპრილი	— თომას კვირა, კვირაცხოვლობა.
13 აპრილი (სამშ.)	— მიცვალებულთა ხსენება.
18 აპრილი	— მენელსაცხებლე დედათა კვირა, მცხეთის ჯვრის აღმართების ხსენება; წმ. მენელსაცხებლე დედათა ხსენება.
25 აპრილი	— განრღვეულის კვირა.
26 აპრილი (ორშ.)	— წმ. დიმიტრი ყიფიანის ხსენება.
28 აპრილი (ოთხშ.)	— ერგასის განზოგება.
30 აპრილი (პარ.)	— წმ. ეფრემ დიდის, მაწყვერელის ხსენება.
2 მაისი	— სამარიტელის კვირა

ჩვენი მოძღვარი
მშვიდობისათვის ყოველისა სოფლისა

(დასაწყისი წინა ნომერში)

თბილისში 2004 წლის სექტემბერში, საერთაშორისო ფორუმზე — **„გლობა-ლიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი“, უწმინდესისა და უნეტარესის სრუ-ლიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II მისასალმებელ სიტყვაში, ხაზი გაესვა შემდეგ გარემოებას: “გლობალიზაცია არის გარდაუვალი მოვლენა და იგი უკავშირდება ტექნიკურ-მეცნიერული პროგრესის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო გახდა გლობალური, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდმა ქვეყნებმა შთანთქან მცირე ქვეყნების კულტურული, სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი, რათა შეიქმნას ერთიანი და უსახო კულტურა.**

ზოგს ჰგონია, თითქოს მცირე ერების სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი ქმნის კონფლიქტს და დაპირისპირებას, რაც შესაძლოა მტრობასა და შუღლშიც გადაიზარდოს. სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე. ეს ფასეულობანი, მათი მრავალფეროვნება, პირიქით, ამდიდრებს მსოფლიოს“(4,25).

ყოველივე ამის ფონზე მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ბრძანებს, რომ... **„<u>საჭიროა ჩამოყალიბდეს საკაცობრიო ღირებულებათა ზნეობრივი ღერძი,</u>**“ რასაც იგი ცივილიზაციათა შორის წარმატებული დიალოგისა და კონფლიქ-ტებისა და დაპირისპირების თავიდან აცილების ეფექტურ საშვალებად მიიჩნევს. ვფიქრობთ, ამ მიმართებით სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

ამავე საერთაშორისო ფორუმზე, საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა საჯარო გამოსვლისას განაცხადა: **„მსოფლიოში არსებობს არათანაბარი განვითარების, უმუშევრობის, სიღარიბის, სოციალური სახის და სხვა პრობლემები, რაც, თავისმხრივ, წარმოშობს პოლიტიკურ პრობლემებს და, რა თქმა უნდა, ტერორიზმის პრობლემასაც“ (4,18).**

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე გამოვთქვამთ იმედს, რომ კაცობრიობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მშვიდობა სუფევდეს დედამიწაზე, რისთვისაც უდიდესი სიბრძნე გვმართებს ყველას, რათა ნებისმიერი კონფლიქტი ავიცილოთ, ხოლო ცივილიზაციათა დიალოგის გააქტიურებას შევუწყოთ ხელი.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ **სულიერ ღირებულებათა** საფუძველზე უნდა მიმდინარეობდეს მსჯელობა ისეთ საკითხებზე, რომელიც ეხება ადამიანის დანიშნულებას, მის მოთხოვნილებებს და ცხოვრების მიზანს, ასევე ზოგადსაკაცობრიო თანამედროვე პრობლემები როგორიცაა: გლობალური დათბობა, გენური ინჟინერია, კლონირება, ეკოლოგია, ეპიდემიები თუ სხვა აუცილბელი და საჭირბოროტო საკითხები. აი, აქეთ უნდა მივმართოთ მთელი ძალისხმევა, თუ მართლა გულწრფელად გვსურს მსოფლიოში არსებული დაძაბულობის შემცირება და არსებული მდგომარობის დარეგულირება.

ომის საშიშროების შესახებაც გვსურს ვისაუბროთ. ომში ნუ ვიგულისხმებთ მხოლოდ იარაღით დაპირისპირებას. უკვე კარგახანია დაწყებულია გლობალური <u>**საინფორმაციო**</u> ომი, <u>**ეკონომიკური**</u> ომი, ომი <u>**ენერგომატარებლების**</u> მეშვეობით და მრავალი სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გამანადგურებელი ომი <u>**ნარკოტიკების**</u> საშუალებით, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა. გლობალური ომი მიმდინარეობს <u>**ზნეობასთან**</u> მიმართებაშიც, რასაც ნათლად ცხადჰყოფს ზოგიერთი სატელევიზიო არხის ყოვლადუზნეო და უგვანო გადაცემები თუ „რჩეული“ ინტერნეტსაიტები, რომლებიც სულიერად ანადგურებენ ახალგაზრდობას.

სახეზეა ასევე სულიერი ბრძოლის არნახული მასშტაბები არაერთი დესტრუქციული სექტის დამღუპველი მოქმედებისა, ხოლო საზოგადოების დიდი ნაწილის ინდეფერენტულობისა ამ პროცესების მიმართ, რაც უშუალო შედეგია ღვთის შეგონების შეუსმენლობისა:



— **„მოძღურებასა მრავალსახესა და უცხოსა ნუ შეიწყნარებთ, რამეთუ კეთილად მადლითა განმტკიცებულხართ გულითა...“ (ებრ. 13,9).**

აქ ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც გვსურს შევეხოთ. არაერთი საუკუნეა ქართულ მიწაზე ქართველ ხალხთან ერთად მშვიდობიანად თანაცხოვრობენ <u>**სხვადასხვა ეროვნების**</u> წარმომადგენლები. ეთნიკურ სიჭრელეს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს <u>**რელიგიური ნაირგვარობაც**</u>. მიუხედავად ამისა, საქართვე-ლოში არასოდეს ჰქონია ადგილი ეთნიკურ თუ რელიგიურ შუღლს, თუ არ ჩავთვლით კონფლიქტებს <u>**აფხაზეთსა**</u> და <u>**სამაჩაბლოში**</u>, რომელიც მტრული გარეშე ძალის მიერ ხელოვნურად იყო ინსპირირებული და თავს მოხვეული.

ამდენად, ჩვენ გაგებით ვეკიდებით იმ საკითხს, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს თავისი კულტურა, ადათ-წესები და ტრადიციული სარწმუნოება აქვთ, და ეს ჩვენთვის გასაგებია, რადგან ჩვენ (ქართველები) ერთ-ერთი უძველესი ერი ვართ მსოფლიო ხალხთა შორის. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ საქართველოს დედაქალაქში, <u>**თბილისში**</u>, კერძოდ, მის ერთ-ერთ უბანში, ფაქტიურად ერთ ქუჩაზე მდებარეობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათედრო ტაძარი — სიონი,

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

კათოლიკური ეკლესია, სომხური ტაძა-რი, ებრაული სინაგოგა და მეჩეთი. აქ ყველამ უნდა გააცნობიეროს ის, რომ ერთად, ერთ ქვეყანაში - საქართველოში ვცხოვრობთ და მშვიდობიანი რელიგიური თანაცხოვრების გზით გვივლია. ამდენად, ქვეყნის გასაჭირი მასში მცხოვრები ყველა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის თითოეული წარმომადგენლის გაჭირვებაც უნდა იყოს. ასევე, ყველამ უნდა ისარგებლოს ძლიერი საქართველოს კეთილდღეობითაც.

საქართველოში ჩვენ ყველანი საერთო პრობლემის წინაშე ვდგავართ. ეს პრობლემები რელიგიასაც ეხება. ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც ტრადიციულ რელიგიებს ემუქრებათ — **სექტების** მოძალებაა. განსაკუთრებით საშიშია ე.წ. „ტოტალიტარული სექტები“, რომელნიც არად აგდებენ სარწმუნოებრივ, ეთნიკურ თუ კულტურულ ტრადიციებს და მათი ნიველირებისაკენ ისწრაფვიან. გარდა ამისა, ამგვარი დესტრუქციული სექტების საქმიანობა დამანგრეველად მოქმედებს ადამიანთა სულებზე, მათ ფსიქიკასა და ხშირად ფიზიკურ მდგომარეობაზეც კი. ჩვენი ვალია ერთიანი ძალისხმევით წინ აღვუდგეთ ამ საფრთხეს.

გლობალიზაციის კონტექსტში დღევანდელობის შესაფასებლად ვიტყოდით, რომ ჩვენ **აპოკალიფსურ** დროში ვცხოვრობთ. აუცილებლად დადგება ქვეყნიერების დასასრული, დღე მეორედ მოსვლისა. წმიდა წერილიდან ცნობილია, რომ აპოკალიფსური პერიოდი ომებით, ეპიდემიებით, ეკოლოგიური კატასტროფებით, სულიერი დეგრადაციით, უსჯულოების უკიდურესად გავრცელებით არის ნიშანდობლივი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად უკვე სახეზეა, თუმცაღა არ უნდა ვიფიქროთ, რომ მეორედ მოსვლის ჟამი შეიძლება ვინმემ იცოდეს, რაზეც ასე ცრუბრძნობენ დღესაც, რადგან დრო და ჟამი მეორედ მოსვლისა არავინ უწყის (მთ. 24, 36; მკ. 13, 32).

მათ, ვინც გულისხმაჰყო ადამიანური ღირსების, ურთიერთგაგების, თანამშრომლობის, შემწყნარებლობის მნიშვნელობა, რაც ერთი მტკიცე ნაბიჯი იქნება მსოფლიოში შექმნილი დაძაბულობის განმუხტვის რთულ გზაზე, წმინდა წერილის სიტყვებით მივმართავთ: — **„განძლიერდით უფლისა მიერ და სიმტკიცითა ძლიერებისა მისისაითა; შეიმოსეთ ყოვლადსაჭურველი იგი ღმრთისაი, რაითა შეუძლოთ თქუენ წინადადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა,... მტკიცედ უკუე დეგით, მოირტყენით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭვი იგი სიმართლისაი... ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისაი, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად; და ჩაფხუტი იგი ცხორებისაი დაიდგით და მახვილი იგი სულისაი, რომელ არს სიტყუაი ღმრთისაი“ (ეფ.6,10-17).**

და ბოლოს, ყოველ ადამიანს **ერთსულოვნებისა და მშვიდობის გზაზე,** ვუსურვებდით სულიერ განსჯას, გონიერებას, მოთმინებასა და ჭეშმარიტ რწმენას, დაფუძნებულს წმინდა წერილის შემდეგ სიტყვებზე:

– „მოიძიე მშვიდობაი და მისდევდი მას“ (1 პეტ.3,11 და ფს.33,14);

– „კაცად-კაცადმან ვითარცა მიიღო მადლი, ეგრეთვე ურთიერთას ამსახურებდით მას“... (1პეტ.4,10);

– „და ყოველსავე, რასაცა იქმოდეთ, გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა და ნუ ვითარცა კაცთასა“ (კოლ.3,23);

– „ხოლო დასასრულსა ერთზრახვა იყვენით, მოწყალე, ძმათ მოყვარე, შემწყნარებელ, მდაბალ“ (1პეტ.3,8), რათა ვისმინოთ ყოვლადსამართლიანი მსაჯულისაგან: — **„კეთილო მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა“ (მთ. 25,21),** რომლისა არს სუფევა, ძალი და დიდება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, **ამინ!**

რ ე ზ ი უ მ ე

ამჟამინდელი მდგომარეობა ერთობ რთულია, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე ჩვენს ქვეყანაში — საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებულმა უმძაფრესმა მოვლენებმა არაერთი კითხვა დასვა, რომელთა შესახებაც სწორი პასუხებია გასაცემი, რის დროსაც უცილობლად სულიერი სწავლებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რამეთუ ბრძანებს უფალი: — **„... უმეცარ იყვნეს იგინი სიმართლისა მისგან ღმრთისა და თჳსსა მას სიმართლესა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს“ (რომ. 10,3).**

მიუხედავად მაღალი მოწოდებისა, ადამიანი ხშირ შემთხვევაში ვერ გულისხმაჰყოფს უფლის შეგონებებს, რაც მიზეზი ხდება მცდარი და ღვთისთვის არასათნო გადაწყვეტილებებისა და მოქმედებებისა. გამოსავლის ძიებაში დაცემული ადამიანის გონება, ეშმაკის ცდუნებით, უკიდურესად რაციონალური, ამქვეყნიური მოსაზრებების ფონზე კიდევ უფრო ებმება მაცდურის მახეში და ავიწყდება უფლის სიტყვები: **— „თვინიერ ჩემსა არარა ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“ (ინ. 15,5).**

მშვიდობის გზით სვლა, კაცთა მოდგმის საუკეთესო თვისებების წინა პლანზე წამოწევა, დიდი მიზნისკენ მისი მოქცევა განწმენდით, სინანულით უნდა დაიწყოს. უმძიმესი მდგომარეობიდან მსოფლიოს გამოყვანა უთუოდ ადამიანის შინაგანი განწმენდისა და ამაღლების გზების ძიებასაც გულისხმობს.

ყოველივე ამის ფონზე მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ბრძანებს, რომ... **„საჭიროა ჩამოყალიბდეს საკაცობრიო ღირებულებათა ზნეობრივი ღერძი,“** რასაც იგი ცივილიზაციათა შორის წარმატებული დიალოგისა და კონფლიქტებისა და დაპირისპირების თავიდან აცილების ეფექტურ საშუალებად მიიჩნევს. ვფიქრობთ, ამ მიმართებით სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

ყოველ ადამიანს ვისაც სურს **მშვიდობის** გზაზე სვლა, ვუსურვებდით სულიერ განსჯას, გონიერებას, მოთმინებასა და ჭეშმარიტ რწმენას, დაფუძნებულს წმინდა წერილის შემდეგ სიტყვებზე: **— „მოიძიე მშვიდობაი და მისდევდი მას“ (ფს.33,14),** რათა ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა შედეგიანი აღმოჩნდეს და ქვეყანაზე მშვიდობიანი თანაცხოვრება რეალობად იქცეს.

ქვაშვეთის წმ. გიორგის
სახელობის ტაძრის
წინამძღვარი
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

შეხვედრა ჯილიოს დღის აღსანიშნავად

ყაყაჩო აყვავებულა...

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი